№ 261 დეკემბერი 8, შაბათი 1890 დეკემბერი 8, შაბათი № 261

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


# НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ

## въ 1891 году

**(ВОСЬМОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ *первое*, вечернее, предназначено для восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а *второе*, утреннее,—для гор. Тифлиса, западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10 р.**, полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу*, на годъ—**17 р.**, на полгода—9 р., а три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и оногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА**, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

**За объявленія** изъ губерній и областей кавказскаго края взимается по 8 к. за строку петита на 4-й страницѣ и по 15 к. за такую-же строку на 1-й стр. За всѣ остальныя объявленія—по 10 к. за стр. петита на 4 стр. и по **15 к. за** такую-же строку на 1 стр.

Объявленія изъ внѣ-кавказскихъ городовъ принимаются исключительно въ „Центральной конторѣ объявленій“, бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой улицѣ, въ д. Спиридонова.

Подписка и объявленія принимаются:

а) **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты**, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

б) **ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ:**

1) **ВЪ БАКУ—при аптекарскомъ магазинѣ И. Г. Чубинова**, на Михайловской улицѣ, домъ Мирза-Авакова и Карабегова.

2) **ВЪ КУТАИСѢ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

3) **ВЪ БАТУМѢ—при конторѣ М. С. Бетанова**, Набережная, домъ Ферадъ-Бега.

в) **У АГЕНТОВЪ КОНТОРЫ:**

1) **ВЪ Г. ШУШѢ—С. О. Ананьева**, на площади Топханэ.

2) **ВЪ Г. ГОРИ—Ир. И. Рамишвили.**

3) **ВЪ ЕЛИЗАВЕТПОЛѢ—Г. А. Альтгаузена**, при торговлѣ аптекарскими товарами.

Въ отдѣленіяхъ и у агентовъ подписка и объявленія принимаются **по редакціоннымъ цѣнамъ**, безъ всякой надбавки. Розничная продажа тоже производится безъ увеличенія платы, **по 5 коп.** за номеръ.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издательница **О. А. Николадзе.**

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“.

**ПОДПИСКА НА 1891 ГОДЪ.**

Въ слѣдующемъ году газета **„Тифлисскій Листокъ“** будетъ выходить по прежнему ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ. Редакція главнымъ образомъ посвятитъ свои силы интересамъ Закавказскаго края и, желая дать больше матеріала для чтенія, будетъ выпускать **въ недѣлю два раза газету въ шесть страницъ.**

(Въ программу входятъ всѣ обычные отдѣлы ежедневныхъ изданій).

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставкой: | | | Съ пересылкой: | | |
|---|---|---|---|---|---|
| на годъ | 4 р. | — | на годъ | 5 р. | — |
| на полгода | 2 „ | 50 к. | полгода | 3 „ | — |
| 3 мѣс. | 1 „ | 25 „ | 3 мѣс. | 2 „ | — |
| 1 мѣс. | — | 75 „ | 1 мѣс. | 1 „ | — |

**Подписка исключительно принимается въ г. Тифлисѣ, Барятинская ул. д. Ротинова.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА

**НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ**

# „КАВКАЗЪ“.

Въ 1891 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ

**ПОДПСНАЯ ЦѢНА:**

СЪ ЦЕРЕСЫЛКОЮ:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | По Имперіи. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 р. 50 к. | На годъ | 13 р. — к. | На годъ | 18 р. 40 к. |
| „ ½ года | 6 „ — „ | „ ½ года | 7 „ — „ | „ ½ года | 10 „ — „ |
| „ 3 мѣсяца | 3 „ 50 „ | „ 3 мѣсяца | 4 „ — „ | „ 3 мѣсяца | 6 „ — „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ 50 „ | „ 1 мѣсяцъ | 1 „ 75 „ | „ 1 мѣсяцъ | 2 „ — „ |

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи: Тифлисъ**, до 1-го декабря—уголъ Барятинской и Головинскаго, домъ Ротинова, а съ 1-го декабря—въ новомъ помѣщеніи, Пушкинская улица, домъ А. Бабанасова.

Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ**, въ редакцію газеты „Кавказъ“.

## ОТЪ КОНТОРЫ.

Объявленія изъ Москвы, С.-петербурга, Царства Польскаго, Остзейскаго края и изъ-за границы принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій, бывшей Л. Метцль, въ Москвѣ, Мясницкая, домъ Спиридонова.



# ქართული თეატრი

კვირას, 9 დეკემბერს,

ბენეფისი

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

## ქართველი დედა

ისტორ. დრამა 4 მოქ., ა. ცაგარლისა.

(სიუჟეტი აღებულია ს. არნოს დრამიდგან)

**მოთამაშენი:** ქ-ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელაშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ბილეთები არავის დაეგზავნება

**ანონსი:** მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“ — ოთხ-მოქმედებიანი დრამა ვ. უმიკაშვილისა და „ბორკილი“, ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. სუმბათაშვილისა.

---

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 13 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობისავე სადგურში დანიშნულია ვაჭრობა ქუჩების ქვით მოფენის საქმის იჯარით გასაცემად 1891 წელს. ვისაც უნდა ვაჭრობაში შევიდეს, პირობანი ჰნახოს ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—2)

---

ტფილისის ქალაქის თავი ამით აუწყებს ბ-ნთ მესამე რიგის ამომრჩეველთ, რომ

1) 2 დეკემბრის კრების განგრძობა დაინიშნა საკვირაოდ, ამა 1890 წლის 9 დეკემბრისათვის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში, დილის 9 საათზედ. ამ კრებაზე კენჭი უნდა ეყაროს თოთხმეტს კაცს, ხმოსნებად ასარჩევთ, რადგან 2 დეკემბერს კანონით დაწესებული უმეტესობა კენჭისა იმ კანდიდატებში, რომელნიც კენჭს იყრიდნენ ხმოსნობისათვის 1891—1894 წლამდე, ამოუვიდა მხოლოდ ათს კაცს.

2) კენჭის ყრა დაიწყება სწორედ დილის 10 საათზედ. ამ დრომდე იქმნება რწმუნების ქაღალდების მიღებაც.

3) ვინც 2 დეკემბრის კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა, უნდა წარმოადგინოს თეატრის დარბაზში შესვლის თანავე წინადვე მიღებული და 25 ნოემბრის კრებაზე ბეჭედ-დაკრული წითელი ბილეთები, თუ ორი კენჭი აქვს, და—თეთრები თუ ერთის მეტი არა აქვს.

4) იმ ამომრჩეველთ მესამე რიგისათა, რომელნიც პირველად მოვლენ კრებაზედ, ამისთანა ბილეთები შეუძლიანთ მიიღონ დარბაზში შესვლისთანავე. (2—1)


# ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა განხილვას გარდა, კრება მოისმენს მოხსენებას ა. ა. ყალანთაროვისას: „Условія развитія кавказскаго скотоводства“. კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ტფილისის საოპერო თეატრის გამგებელთ მოუწვევიათ იტალიის ტენორი პერკვოკო. პირველად ახლად-მოწვეული ტენორი იმღერებს ამ დეკემბრის შუა რიცხვებშიო.

*** სპარსეთის ელჩი მირზა-მამად ალი-ხანი მუინულ ვეზირი გუშინ-წინ ბაქოში გაემგზავრა ტფილისიდგან სპარსეთის ქვეშევრდომთა სხვა-და-სხვა საქმის გასარჩევად.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ აქაურ ცხენის რკინის გზის „უსახელო საზოგადოებაში“ აღმოუჩენიათ 50,000 მანეთის გაფლანგვა და ამისათვის ბელგიიდგან ამ დღეებში სარევიზიოდ რამდენიმე აქციის პატრონი მოვიდაო.

*** მეუღლე ბ-ნის მიხაილოვისა, რომელიც ამას წინად ტფილისის გუბერნატორის კანცელიარიაში ოჰანეზოვმა დასჭრა ორ ალაგას რევოლვერით, ელდისაგან მძიმედ ავად გამხდარა, ისე რომ ექიმებს იმედიც-კი არა აქვთ იმის მორჩენისა. თითონ დაჭრილს მიხაილოვს ჯერ მორჩენისა არა ეტყობა-რა და კიდევ სისხლიანი ნახველი ამოსდის.

*** ხუთშაბათს, ამ თთვის 6, მის უწმინდესობის ყოველ სომეხთა პატრიარქ კათოლიკოზის მაკარი I-ს დღეობა იყო და ვანქის სობოროში პარაკლისი გადაიხადა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეპისკოპოზმა მამბრემ. პარაკლისზე დაესწრნენ ტფილისის სომეხთა სასწავლებლების შეგირდები მასწავლებლებითურთ და დიდ-ძალი ხალხი. ამ დღეს მრავალი მილოცვის დეპეშა გაუგზავნეს მის უწმინდესობას. სხვათა შორის კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილემ გენერალ ლეიტენანტმა გრაფმა ტატიშჩევმაც გაუგზავნა მილოცვის დეპეშა.

*** გუშინ-წინ, ნემენცების „კოლონიაში“ ეკატერინენფელდელს „შულცს“ შეუპყრია ალფერდი, რომელიც თეოდორ კნაბეს სახელითა და მოწმობებით სცხოვრობდა საქართველოში. ალფერდს, როგორც მოეხსენება ჩვენს მკითხველებს, გერმანიის პოლიცია დაეძებდა, რადგანაც მას ბერლინში მოუპარავს 100,000 მარკა და ბევრი ავაზაკობა ჩაუდენია. ალფერდი ტფილისის პოლიციის უფროსთან მიიყვანეს და ეხლა დროებით ციხეშია დაპატიმრებული.

*** ზუგდიდი: კვირას, 2 დეკემბერს, წირვას შემდეგ ზუგდიდის მაცხოვრის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მღვ. გაბრიელ ჯიქიას მიერ განსვენებულის კნ. ელენე დიმიტრი ყიფიანის ასულის ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად.

*** პიატიგორსკი: სიბინძურე და უსუფთაობა ჩვენის ქუჩებისა სწორედ საარაკოა, მაგრამ ქალაქის თვით-მმართველობა ყურს არ იბერტყავს. იანვრისთვის ახალი არჩევანებია დანიშნული. ამომრჩეველნი ორ დასად არიან გაყოფილნი. ერთს უნდა ძველი ქალაქის თავი და გამგეობის წევრნი, მეორეს თავისი კანდიდატები ჰყავს ამ თანამდებობისათვის. ვნახოთ, როგორ გადაწყდება საქმე.

*** იქიდამვე: აგერ ეს მეოთხე წელიწადი მიდის, რაც პიატიგორსკის ახლო-მახლო სტანციებში საშინლად მძვინვარებს საქონლის ჭირი და საშინლად ჰჟუჟავს კიდეც საქონელს. ვეითალნი ბლომად არიან აქეთკენ დანიშნულნი, მაგრამ არ იქმნა და ჭირი ვერ მოსპეს.

*** ცხინვალი: დეკემბრის 2 აქ გამართულ იქმნა ქ-ნ ჟურულის თაოსნობით ქართული წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოადგინეს სცენისმოყვარულთ „ადვოკატები“, სამ-მოქმედებიანი კომედია თავ. რ. ერისთავისა. საზოგადოება ბლომად დაესწრო ამ გასართობს საღამოს. სოფლებიდამაც ბლომად მოვიდა თავად-აზნაურობა. გამართული იყო აგრეთვე ბუფეტი, რომლის შემოსავალიც ზემოხსენებულსავე საზოგადოებას უნდა გადაეცეს. თვითონ წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა, უფრო იმიტომ, რომ სცენის მოყვარულთა შორის ერთი დიაღ კარგად გამოცდილი არტისტი ერია, სახელდობრ თ. ზ. მაჩაბელი. ხარჯს გარდა, რვა თუმნამდე დარჩებოდა შემოსავალი. დიდის მადლობის ღირსნი არიან, როგორც მოთავე ამ საქმისა, ისე წარმოდგენის მონაწილენიცა, რომელნიც დიდად ეცადნენ, რომ საქმე მოგვარებულიყო და ცხინვალელებისათვის მცირედადაც არის ესიამოვნებინათ. ამბობენ, რომ ესევე მოყვარულნი სცენისა მეორე წარმოდგენის გამართვასაც აპირობენო. უნდა წარმოადგინონ სახელდობრ სუნდუკიანცის პიესა „პეპო“.

*** იქიდამვე: გორის მაზრა ჯარის კაცთა გასაწვევად ოთხ ნაწილად არის გაყოფილი: გორისა, სურამისა, ცხინვალისა და ჯავისა. ჯავის ნაწილში ოსები სცხოვრობენ. იმათი მამულები თითქმის სულ მაჩაბლიანთ ეკუთვნით. რადგან მთელ ჯავის ხეობაზედ დიდი მემამულე არავინ არა ცხოვრობს, სამხედრო კრებულმა ვერსად შესაფერი სახლი ვერ იშოვნა. მოწვეული იყო კენჭისათვის 500—600 კაცი; მოწვეული ხალხი მეტად შეაწუხა უბინა-

ობამ და ავმა დარებმა. თვით ის ოთახი, რომელშიაც კრებული მუშაობდა, ბნელი იყო და ფარღალალა. ხალხს ურჩიეს და ხალხმა თვითონაც ინდომა ფულის გამოღება და სადგურის აგება სამერმისოდ. ადგილობრივი ბლაღოჩინი, მომრიგებელი, შუა-კაცი თ. ივ. ერისთავი, თ. ი. მაჩაბელი დაჰპირდნენ ხალხს შემწეობას და დახმარებას ამ საქმეში. ხალხს უნდა ხუთხუთი შაური მოაგროვოს კომლზე, ხე-ტყე უფასოდ სთხოვოს მაჩაბლებს და ამ სახით ააშენონ დიდი სახლი, რომელშიაც ბინა ჰქონდეს ხალხს, ჯარში გასვლისათვის კენჭის საყრელად მოწვეულს და თვით სამხედრო კრებულსაც რიგიანი ოთახი ჰქონდეს სამუშაოდ.

*** გაზ. „Гражданинъ“-ი ამბობს, რომ სახაზინო რკინის-გზათა გამგეობას პროექტი შეუდგენია და განუზრახავს, კავკასიაში ძეგლი დასდგას ხელმწიფე იმპერატორის ამ ქვეყანაში ყოფნის სახსოვრად. ეს ძეგლი პირამიდას მსგავსი იქნება, კვარცხლბეკზედ იდგმის ლითონის სფერო ქვეყნისა, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს მთელის რუსეთის იმპერიის მიწა-წყალი. სფეროზედ ბალიში იდება და იმპერატორის რეგალიები—გვირგვინი და სკიპტრა იქნება დასვენებული, ზემოდგან-კი ფრთა-გაშლილი არწივი უნდა იყოს გამოყვანილი. კვარცხლბეკის სამხრეთ მხარეს წარწერილი ექნება. „Царю—Отцу—отъ дѣтей Кавказа—1891 года“; აღმოსავლეთ მხარეს — „Мы дали вамъ: культуру, свободу совѣсти и равенство передъ законами“, დასავლეთ მხარეს—„Ваши ручьи сольются въ нашемъ морѣ“, და ჩრდილოეთ მხარეს-კი—„съ нами Богъ“.

*** „Нов. Обоз.“-ე ამბობს: ჩვენ გვაუწყებენ, რომ სახელოსნო გამგეობის უსტაბაშის განკარგულებით 28 მკერვალს დაუკეტეს დუქნები. მკერვლებს სთხოვდნენ 45 მანათს, რომელიც ქეიფისა და სმისათვის მონდომებია და რადგანაც იმათ ეს ფული არ გაიმეტეს, დუქნები დაუკეტეს. როგორც ეტყობა, ამ უწესოებასა და ურიგობას ბოლო აღარ მოეღება.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისში შესდგა წრე ქართველთა, რომელთაც აზრად აქვთ სწერონ მდაბიურისა და გასაგების ენით პატარ-პატარა წიგნები სამეცნიერო შინაარსისა.

*** 5 დეკემბერს ტფილისის სახელმწიფო ბანკში კუპონების დახურდავების დროს დედათა ინსტიტუტის მსახურს ორლოვს მოჰპარეს 100 მან.

*** ამავე დღეს დახურულს ბაზარში პოლიციელმა დაინახა, რომ ვიღაც კაცს გამოკრული ბოღჩა მიჰქონდა. მაშინვე ეჭვი აიღო და დაუძახა დაიცადეო. კაცმა ბოღჩა დააგდო და გაიქცა. ბოღჩაში აღმოჩნდა ორი დრაფის პალტო ქალისა.

*** 5 დეკემბერს საღამოს 5 საათზედ კონსულის ქუჩაზე ყორღანოვის სახლის მახლობლად იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 6 ამ თვისას სამი ჯარის-კაცი სამეგრელოს პოლკისა შევიდნენ ცუდის ყოფაქცევის დედაკაცთან, რომელიც ნორიის ქუჩაზე სცხოვრებს და მოუვიდათ ერთმანეთში ჩხუბი და ცემა-ტყეპა, მაგრამ მალე მიეშველა პოლიციელი და გააშველა. გავიდა ცოტაოდენი ხანი და მოვიდნენ ცხრა კაცი კიდევ ჩხუბის ასატეხად, მაგრამ ესენიც პოლიციელმა შეაყენა. ერთი მათგანი ნასვამი ეფრეიტორი მეხუთე როტისა სტეფან სკაკლიეფ-კი შეიპყრო და პოლკის უფროსს წარუდგინა.

*** ამავე დღეს, საღამოს 9 საათზე, ეჩმიაძინის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში შეცვივდნენ ქურდები და გასტეხეს ყუთი. მაგრამ პატრონმა ქალმა ყვირილი მორთო, მეზობლები მალე მიეშველნენ და ერთი ქურდი გრიგოლ ბერძენოვი კიდეც შეიპყრეს.

*** 6 ამ თვისას, ღამის 12 საათზე, მარსელის სასტუმროში ტფილისის მცხოვრებელმა 23 წლის ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ კობერიძემ რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა. გარდაცვალებულის გვამი სანატორიო თეატრში გაჰგზავნეს.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი. ჩვენს პროვინციაში ქალაქთა შორის მეოთხე ალაგი, ქუთაისსა, ბათუმსა და ფოთს შემდეგ, გორს უჭირავს, ამ „ქართლის შუაგულსა და მეთაურს“, როგორც პოეტმა უკიჟინა. ეს დაკიჟინება პოეტისა იქნება სასიამოვნოდაც ეჩვენათ გორის მოქალაქეთ, მაგრამ დაცინვა, და მერე ასეთი მოხერხებულ-მოხდენილი, სწორედ ძნელად წარმოსადგენია. პოეტმა გულიც მოიგო გორელებისა და სასაცილოდაც აიგდო, აიგდო ისე, რომ ქონდრის კაცს გოლიათი უწოდა, მცონარას—პუმბერაზ დევ-გმირი.

„ქართლის მეთაური და შუაგული“ ერთი პაწაწა ქალაქია, დუქნებად გადაქცეული. რამდენი სულიც მცხოვრებია, ორი იმდენა დუქანი და ბაზარი, ასე რომ თითო დუქანს თითო მუშტარი ჰყავს, თითო მუშტარს—თითო მედუქნე. ამ ქალაქში თვით-მართველობაც არის, მაგრამ ისეთი, რომ მარტო ამ თვით-მართველების მეტიც რომ არავინ იყოს, იმათაც საკუთარი თვით-მართველები დასჭირდებოდათ, და ეხლა ხომ სჭირიათ და სჭირიათ. მიხვალთ თუ არა მატარებლით გორის სადგურზედ, ეტლი უნდა დაიჭიროთ ქალაქამდე მისაღწევად. საყურადღებო სანახავია ჯერ თვით ეს ეტლი, გორული „ფაეტონი“: გორგოლაჭებზედ ძლივს-და ფანფალებს, ცხენები ფარაონის გამხდარს ძროხებსა ჰგვანან და ისეთი მჭლენი, ისეთი მილასლასებულნი და მიკნავებულნი არიან, რომ სწორედ მადლს იზამს, დიდს პატივისცემას დაიმსახურებს „ამიერ-კავკასიის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისას“, ქრისტიანი რომ გამოჩნდებოდეს ვინმე, თვით ამ ცხენის მაგვარ ოთხ-ფეხებს რომ ეტლში ჩახხავდეს, სხვა ცხენებს მოუბამდეს და საძოვარზედ გაიყვანდეს სადმე.

მიხვალ როგორც იქნება ხიდამდე აბაზად დაქირავებულის ეტლით, რომელშიაც ჯდომის დროს მაღლა იწევი, ჰაერს იგუბებ პირში, რომ დავმსუბუქდე, არ დავამძიმო და ხიფათს არას წავაწყდეო. გადმოგიდგება ხიდზედ ვიღაცა და ხუთს შაურს გადაგახდევინებს გზის ფულს. ერთის სიტყვით, ქალაქის თავიდგან ბოლომდე გაპარონინებელ-გამარიხინებელი ეტლი, მეეტლე, ორი ცხენი ჰღირს ერთი აბაზი, სამის ადლის სიგრძე ხიდზედ გავლა-კი, თუნდა ამ გავლის დროს ერთს კენჭსაც არ შეუშალოთ ალაგი,—ხუთი შაური.

გახვალ ამ ხუთ შაურიანს ხიდსაც, მოიწადინებ უმთავრესის ქუჩის ნახვას—სამეფო ქუჩად წოდებულისას, ჰნახავ და გაოცდები: ქუჩა-კია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საქუჩე ადგილი, მაგრამ ისიც ალაგ-ალაგ დალარულია, დაოღრო-ჩოღროებულ, დაჭორფლილი, ამ ღარებში გუბეები დგას, ასე რომ სულ ასკინკილა უნდა იარო, თუ ცურვა არ იცი და არც უდროო-დროს გაბანება გინდა. ამ მთავარქუჩაზედ ჭაჭანება არ არის ადამიანისა, მხოლოდ გუბეებში ბატები მედიდურად დასცურავენ, ძაღლები დაფუნდრუკებენ, იხვები დაყელყელაობენ, ინდოურები დაყივყივებენ და ყველა ამათ მდიდან-ბეგად თავს ადგია კოხტა, შავ-კუდა მემკვიდრე სახედარისა, თავ-მომწონედ მოუღერებია კისერი და ცნობის-მოყვარეობით მაღლა აღუმართავს გრძელნი სასმენელნი, თითქოს კიდევ ახალს ჭორს რასმე უნდა მოჰკრას ყური, ჭორს, რომელიც გორში დღე ერთია და ის-კი ათასი. გორულს ჭორს ერთი განსაკუთრებული თვისება კიდევ ისა აქვს, რომ სხვაგან ყველგან, მთელის ქვეყნის ზურგ-ხერხემალზედ, ჭორი, სიცრუე, ტყუილი კუტია და ფეხ-მოკლე, „ტყუილს პატარა ფეხები აქვსო“, ხომ გაგიგონიათ,—გორში-კი ისეთი ზორბა და მსხვილი ტოტები ასხია, რომ თქმა და მთელს ქალაქის გასწვრი-გამოსწვრივ შემორბენა ერთია.

ერთად-ერთი თვალის-მოსასვენებელი ალაგი ამ ქალაქში ისევ გორის ციხეა, ეს ძველის დიდების ნიშანი, მაგრამ ისე უპატრონოდ არის მიგდებულ-თავ-მინებებული, რომ გოლიათი ვინმე რომ გამოჩნდეს, შესძლოს იმის ზურგზედ წამოკიდება და წაღება, ჯერ არავინ დაინახავს და თუ დაინახავს, არას დაუშლის. ასეთი გოლიათი ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ პაწია გოლიათები-კი ამ ციხესაც გამოსჩენია. ციხეს ახლო-მახლო დასახლებულნი ანგრევენ ამ მამა-პაპათა დიდების ხავსით დაჭდეულ ნაშთის კედლებს, ქვა-ყორეს ქვემოთა ჰზიდავენ და ევროპიულს გემოვნებაზედ ახალს პაწია ციხეებს იშენ-იგებენ თავის შესაფარებლად. გაუმარჯოს ამ ახალს გვარს მამულის სიყვარულის გრძნობის გამოჩენას! ისე უყვართ ამ მამულიშვილთ ძველის დიდების ნიშანი, რომ ვერ მოჰშორებიან, სახლ-სადგომად ხდიან და ფანტაზიით მამა-პაპათა სადგურს, იმათს ნაადგილევს და ნაფეხარს არა ჰშორდებიან.

ან ვინ უპატრონებს ამ გორის შუაგულს ქართლელების შესარცხვენად ამართულს კედლებ-ჩამონგრეულს ციხე-სიმაგრეს, როცა მთელს გორში დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვნით პოლიციელს, თუმცა გორული პოლიციელი ვერაფერი დიოგენის გემოვნების ადამიანი იქნებოდა. ორიოდე პოლიციელია და ისინიც ვიღაც სხვათა სამსახურს უნდებიან. კიდეც ამიტომ ამ ქუცმაცა ქალაქში გათენება ერთია და კაცის კვლა, ჩხა და ძარცვა-გლეჯა ათასი. ისე ვერ გაივლით იქაურს დახურულს ბაზარში, რომ ცემა-ტყეპას არ წააწყდეთ და მუშტიკრივის მოწამე არ შეიქმნეთ.

მოკრივეების სიმცირეს-კი, ღვთის მადლით, გორი ვერ იტირებს და ვერ იჩივლებს. ამ ქალაქში როგორც ძველი ციხე ქოხმახებად არის გადაქცეული, ისე ძველებურ სახელ-განთქმულის ქართველთა შვილნიც დაქუცმაცებულან, დაქონდრიკაცებულან, ჯუჯებად გადაქცეულან. ქალაქის რომელ მხარესაც უნდა გაიაროთ, თვალ-წინ შეგეხეჩებათ ათი-თორმეტიოდე ქართულად გამოწყობილი ყმაწვილი კაცი, ასე ოცის-ოც-და-ორის

◆◆

# ფელეტონი

## ლურჯას

ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია
როგორც კაცს, ადამიანსა:
ბარით რო მთაში წამოვალ,
შენ დროს ახნებ გვიანსა,
მუხლში ქარს ჩამაიყენებ,
დაემსგავსები ნიავსა.
არ აბედნებ კლდე-ღრეებს,
მკერდს იქნევ ყალამქრიანსა,
შენც გული გიგებს, ტიალო,
მიეალთ სამშობლოს მთიანსა,
კლდეზედაც კარგა მიჰფრინავ,
უგზოს გზასა ჰქმნი გზიანსა.
გულით მაშორებ ვარამსა,
ვარამსა ათას ფრიანსა,
არწივის ფრთეებს შეასხამ
ჩემს ფიქრსა მრავალ ფრთიანსა.
მაყვარევებ უდაბურს ადგილს,
ჭიდროსა, ნადირ-მგლიანსა.
გვიან ზაფხულის მნახველსა
მწირსა და მოკლე სთვლიანსა,—
ადგილს უმთვაროს უმზეოს,
ჩვენ რომ ვეძახით მზიანსა!

ვაჟა-ფშაველა

◆◆

## საზარელი ადამიანი

მოთხრობა

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა;
რისთვის დამწვი და დამდაგე,
დაიწვეს შენი ქალობა!..

ხალხური

ალიონი ჯერ კიდევ ცისკრად არ გადაფერილიყო, როდესაც ჩვენი გემი „ლაქორჯი,“ რვა დღის მოგზაურობის შემდეგ, მივიდა, ჩვენდა საბედნიეროდ, სტამბოლს და საშინელის კივილ-წივილით და ორთქლის შხივილით გაჩერდა ჰარამხანის მშვენიერს სასახლეს ახლო; სასახლის მაღალი კედლები სვეტებივით ჩასვენებულიყო მარმარილოს ზღვის კიდეში. ეს იყო 1886 წ. 12 მაისს. ლოგინზედ წამომჯდარი და პაწაწკინა სარკმელთან მიყრდომილი, ვსტკბებოდი ნავების ფაცი-ფუციან მირბენ-მორბენით, ახლად გამოსულის საპასაჟირო გემების მიმოსვლით და მეტადრე თვით სტამბოლისა და მის კეკლუც მიდამოს ნახვით. არ ვიცი, რამდენს ხანს გასტანდა ამ გვარი ჩემი სიამოვნებით სავსე თავ-დავიწყება, რომ არ შემოვარდნილიყო ჩემს კაიუტაში ჩემი კარგი მეგობარი, ახალგაზდა მკურნალი ქალტიე, რომელიც ასე ადრე გამოსულიყო სტამბოლიდგან ჩემს დასახვედრად. მე მაშინვე ლოგინიდგან წამოვხტი და ნახევარ საათს შემდეგ ჩვენ უკვე ვიყავით სტამბოლში, რომლის თვალ-საჩინო უბნები, სასახლეები, მეჩეთ-ეკკლესიები, თეატრები და მრავალ ძალლიანი ქუჩები უნდა ეჩვენებინა ჩემს პარიჟელს ნაცნობს, დროთა ბრუნვის გამო გადმოხვეწილს ამ ორის წლის წინად ოსმალეთში.

ის იყო გავათავეთ კოხტა „პერას“ უბნის დათვალიერება და ვაპირობდით ძველებურ ოსმალურ ქარვასლების და ბაზრების ნახვას, რომ ჩემმა მეგობარმა უცებ შემაჩერა და დამანახვა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც ჩვენს ახლო ეტლასაც ებაასებოდა. მე ვერ მოვასწარ მეკითხნა, ვინ არის ეგ ქალი-მეთქი, რომ ექიმმა წამოიძახა:

— აი საზარელი ადამინი!

ეს ქალი ოცის წლის მეტისა არ იქნებოდა; იმის შავგრემანს სახეს ამშვენებდა სურათივით ცხვირი, მსხვილი ტუჩები და იტალიის ქალებისებური ფართოდ გადაშლილი შუბლი; იმის სქელ წარბების ჩრდილოებში იმალებოდა შავი და სიტკბოებით ავსილი თვალები; იმისი ჯერ კიდევ ბუსუსიანი ლოყები ახლად მოკრეფილს გავაზურს ატმებსავით ბრწყინავდა. შავი, იაფის ფასის, მაგრამ კოხტად შეკერილი კაბა ამშვენებდა იმის ტანს და თეთრი მუსლინის შალი მოარშიყეს მკლავივით გარს ურბენდა იმის მართლა-და იდეალურს ყელს. ერთის სიტყვით ამ ქალში, პირველ თვალის გადაელებით, ყველაფერი იყო კარგი და ტკბილი. იმას ეძახდნენ ჟულიეტას... რაც იყო ეს გარეგნობით კარგი ჟულიეტა, შეიტყობთ მკურნალის ნაამბობიდგან.

**

„საზარელი ადამიანია!“ განიმეორა ექიმმა აღელვებულისა და ყრუ ხმით; ქალმა ყური მოჰკრა თუ არა ამ სიტყვებს, თოფ-ნაკრავივით შეინძრა და მაშინვე ფერ-მიმკრთალი გავშურა გზას... საშინელმა ჟრუანტელმა გამირბინა მთელს ტანში და წინა გრძნობა მიჩურჩულებდა, რომ აქ რაღაც შემაძრწუნებელი დრამა უნდა იმალებოდეს. რადგან ექიმს ცხადად ეტყობოდა, რომ ის ამ დროს რაღაც ძველ ამბების მოგონებაში იყო გართული, ამისათვის ვამჯობინე თავი დამენებებინა გამოკითხვისთვის და ჩვენ სრულის სიჩუმით გამოვიარეთ პერა და მოვედით საფრანგეთის საელჩომდე. მხოლოდ როდესაც შევუდგევით გალათის გზას, ექიმმა ხელი დამიჭირა და მოწმენდილის სახით განაგრძო: „ჟულიეტა ჯერ კიდევ თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ქალი არ იქნებოდა, როდესაც ერთს მშვენიერს ივნისის საღამოს შეხვდა გალათის დიდს ქუჩაზედ ნამატროსალს გაბრიელ მანჩულაძეს...

— გაბრიელ მანჩულაძეს? გააწყვეტინე მე სიტყვა. როგორღაც მაგონდება ეგ გვარი. მგონი პირველად რომ გამოვიარე ტრაპეზუნდში ამ ოთხის წლის წინად, მაშინ ჩვენმა გემის კაპიტანმა დამანახვა მეორე გემზედ ყმაწვილი მატროსი, აქო და მითხრა, რომ ისიც ქართველია და ფრანგულ-ინგლისურს კარგად ლაპარაკობსო. ის მატროსი უნდა იყოს უთუოდ ეგ მანჩულაძე.

— თუ გემს „ამედეაზედ“ ემსახურებოდა შენი ნაცნობი, სწორედ გაბრიელი იქნებოდა.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და ექიმმა განაგრძო: გაბრიელმა და ჟულიეტამ გაფაციცებით გაუყარეს ერთმანეთს თვალი თვალში; შეჰხვდეს კიდევ ერთმანეთს და საშინელი და უცნობი მწველი ცეცხლი მოედოთ ორთავეს.

გაბრიელი, შთამამავლობით მეგრელი, იყო ლაზათიანი, ზორბად ჩასხმული ყმაწვილი კაცი, რომელსაც სამშობლოსათვის დაენებებინა თავი

წლისა, ხმალ-ხანჯლითა და მათრახით შეიარაღებული. ეს ვაჟბატონები არაფერს აკეთებენ, სცხოვრობენ როგორც ფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვისანი, სჭამენ, სვამენ, უფროკი სვამენ და ჩხუბობენ, დაეიდარაბას მისხლობით ყიდულობენ. ამ ქართლის მარილთ გორელები „ბაწაწკებს“ ეძახიან, მე-კი „თავში მიბრახუნებს“ ვუწოდებ და გთხოვთ ამ სახელით იცნობდეთ.

რკინის გზის მატარებლის მოსვლის დროს ეს „თავში მიბრახუნენი“ სადგურზედ დაწრწიან უსაქმოდ, უვზ.უკელოდ და ხანჯალზედ ხელ-ჩავლებული მედიდურად დაგყურებენ ოლიმპიაეით თავზედ. თუ არა-და, ქალაქში არიან და ბახუსს უყრიან მუხლებს. ამათი საქმე ჩხუბია, ამათი ხელობა—იგივ ჩხუბი, ამათი სალაპარაკო—ისევ ის ჩხუბი, ამათი სანაღელელი, საძებნელი, იდეალი—ჩხუბი, ჩხუბი და ჩხუბი. ხშირად საჩივარს რომ ვერას იპოვნიან, უბილეთოდ სხდებიან მატარებელში და კონდუქტორებს აუტეხავენ ხოლმე აურზაურს, რომ გული გაართონ, საქმე იშოვნონ. ან რა ჰქმნან, მამა-პაპური სისხლი თუ უდგათ ძარღვებში და არ ასვენებთ. ძარღვებში რა უდგათ, არ ვიცი, მაგრამ ზემო სართულში-კი რომ არავინ უდგათ ამ „თავში მიბრახუნეებს“, ამას ბეწვის ოდენი ეჭვიც არა აქვს. ერთის სიტყვით, გორში ახლად მიმსვლელს იმის მეტი აღარა დარჩენია-რა, რომ იორამ უძლომელაძესავით ხელების გასავსავებით უნდა წამოიძახოს:

> დახე, ქ ჩვენი გორი,
> რა რიგად გამოცვლილა;
> ძველის დიდების ციხე
> ქოხ-მახებად შექმნილა.
>
> —
>
> ძველთა მამათა შვილნი
> წკუიდგან დალეულან,
> „თავში მიბრახუნედ“ და
> „ბაწაწკადა“ ქცეულან.

„ლუ“.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-222 №-ში ახალსენაკიდამ იყო დაბეჭდილი, რომ ჩვენშიაც აპირობენ ისეთივე წიგნთსაცავის დაარსებას, როგორიც გურიაში დაარსესო. დიდად სასიამოვნოა ეს ამბავი ყველასათვის, ხოლო თუ მართალია, კარგი იქნება თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადებდნენ, ვინ არიან ამ საქმის მოთავენი და წიგნები, ან ფული, ვის სახელზედ, ან სად გაიგზავნოს. მე მინდა მცირეოდნად მაინც დავეხმარო ამ საქმეს და არ ვიცი-კი ვის მივმართო. შესაძლოა, ამხანაგი ბევრი მყავდეს და ამიტომ გიგზავნით ამ წერილს, რომ გავიგოთ ვის სახელზედ გაიგზავნოს შეწირულებანი.

ბარნაბა გაგუა

ქ. სოხუმი.

◆◆

## რუსეთი

„С.-Петер Вѣд.“-ი იუწყება, რომ მთავრობამ საჭიროდ სცნა, დააარსოს წამლის მკეთებელ ქალთა სპეციალური ინსტიტუტიო. ეს განზრახვა იმან გამოიწვია, რომ ახალი საათფთიაქო წესდება ქალებსაც ნებას აძლევს ამ ხელობისას. ამის გამო ეხლა პროექტს ადგენენ იმასაც, თუ როგორ უნდა მოეწყოს განზრახული წამლის მკეთებელ ქალთა ინსტიტუტი. ამ პროექტის შედგენას ძლიერ აშურებენ, რადგან ჰსურთ, ახალ საფარმაცევტო დებულებასთან ერთად ეს პროექტიც წარადგინონ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

— რადგან დერპტის სამოსწავლო ოლქში მომეტებული ნაწილი მოსწავლეებისა სულ უცხო ტომის ხალხია და დროზედ ვერ ასწრებენ რუსულ ენის იმ გვარად შესწავლას, რომ ეგზამენები ამ ენაზე დაიჭირონ, ამიტომ ნება დართეს, გიმნაზიების მოსამზადებელს კლასებში 10—12 წლის ყმაწვილებიც მიიღონ ხოლმე, ხოლო პირველს კლასშიც—10—15 წლისა. ეს ნება-რთვა დროებით არის, ვიდრე დაბალს სასწავლებლებშიაც რუსულს ენაზედ შემოიღებენ ყოველის საგნის სწავლებას.

— სამეურნეო დეპარტამენტი, რომელიც ამ ჟამად ახალს საქალაქო დებულებას აწგენს, აპირობს კანონად დასდოს, რომ ებრაელი ხმოსნები ქალაქის საბჭოებში ერთი მეათედი ნაწილი იყვნენ ხოლმე მთელის ხმოსნებისა და არა მესამედი, როგორც ეხლაა. დეპარტამენტი ამას იმიტომ აპირობს, რომ ებრაელებს ძლიერ ცუდად მიჰყავთ ქალაქის საქმეები და ყოველთვის თავისს მოძმეების სარგებლობას რჩეობენ ქალაქის სარგებლობასაო. ამავე აზრით ძველი საქალაქო დებულება ითხოვდა, რომ ებრაელი ხმოსნები ერთს მესამედზე მეტნი არა ყოფილიყვნენ ქალაქის საბჭოში, მაგრამ რადგან ვერც ამან ალაგმა ებრაელები, ამიტომ ეხლა კიდევ უნდა შევამციროთ იმათი რიცხვიო.

— მოგილევის მაზრის სოფელს ოლჩედ?ევაში შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა. გლეხის ქალი, 16 წლის ეფემია სემენიუკოვისა საღამოს ჟამს მინდვრიდგან შინ მიდიოდა. ერთის მემამულის სახლთან რომ გამოიარა, გამოუვარდა საწყალს ხუთი ძაღლი, ეცნენ, სულ ლუკმა დაგლიჯეს და შესჭამეს. მხოლოდ თავი და მარცხენა ბეჭი-ღა გადაურჩათ შეუჭმელი. საქმე მოგილევის მაზრის გამომძიებელს გადაეცა, ხოლო ძაღლები-კი პოლიციის განკარგულებით მაშინვე დახოცეს.

— ამაზე არა ნაკლები საზარელი ამბავი ქალაქ მოლოგოს მახლობლადაც მოხდა 22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზედ. იმ დღეს რიბინსკიდგან მოლოგაში მიდიოდნენ ზარაფი პავლოვი და ერობის მდივანი დობროტინი ცოლითურთ. სამნივე ერთს მარხილში ისხდნენ და გაყიდულს მდინარე ვოლგაზე მიდიოდნენ. ორი ვერსი-ღა ჰქონდათ გამოსავლელი, რომ მეეტლე გაუყინავს, წყალს წააწყდა და გადავარდა. მოგზაურებმა მოინდომეს ყინულზე გადმოხტომა, მაგრამ ყინულის მაგიერ ისინიც წყალში ჩაცვივდნენ. სოფლელებს რაღაც ყვირილი შემოესმათ, მაგრამ, როცა მივიდნენ, მხოლოდ მეეტლე-ღა დაუხვდათ, რომელიც ძლივს ამობობღებულიყო ყინულზე და უგრძნობლად იწვა, ხოლო მგზავრები და ეტლი ცხენებითურთ წყალს ყინულს ქვეშ შეეტანა და წაეღო.

◆◆

## წვრილი ამბები

ინდოეთიდგან გამოეგზავნათ ლონდონში დედოფლის სანახავად ერთი ფაკირი (ბერი), რომ ყოველივე აუწყოს, რასაც ინდოელებს გაჭირვებას აყენებენ ინგლისელი მოხელეები. ფაკირს სიჩივარი დაწერილი აქვს და ზედ ორ მილიონ ინდოელს უწერია ხელი. ამ მოჩივარს თან ახლავს ორი მღვდელი და სამიც მაჰმადიანთა დავრიში.

— ლაპარაკით ხომ ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ კოხზე, მაგრამ ეს-კი სწორედ ახირებული საქმეა: არადში (უნგრეთში) ერთს არტისტს ხუთ-მოქმედებიანი დრამა დაუწერია და შინაარსად კოხის მიერ ჭლექის წამლის აღმოჩენა აუღია. არტისტებს როლები დარიგებული აქვთ თურმე და რამდენსამე დღეს შემდეგ წარმოდგენაც გაიმართება.

— ვენის სამოსსიონერო საავადმყოფოში ერთი მოხუცებული კაცი იწვა. გაჭირვებული შვილი თავს დასტრიალებდა და არ იცოდა, რით ეშველა. ბოლოს აიღო, ფეხის კუნთები მოიჭრა, მოუხარშა და წვენი აჭამა, იქნება ამან მაინც არგოსო, მაგრამ მოხუცი მაინც ვერ გამობრუნდა. ორ დღეს უკან გარდაიცვალა და ეხლა იმის მაგიერ იმავე საავადმყოფოში იმისი კუნთებ-დაჭრილი შვილი წევს.

— ერთმა სქელ-მოქმედო საზოგადოებამ კონგრესი გამართა ბერლინში სქელის კაცებისა. ვინც ყველაზედ სქელი გამოდგებოდა, საჩუქარი უნდა მისცემოდა ნახევარ ბოჩკა ლუდი. სულ 50 კაცი შეიყარა კონგრესზედ. ასწონეს ყველანი და საჩუქარი ერგო ვიღაც ბეგს, რომელსაც ათს ფუთს ერთი გირვანქა დააკლდა. ნიუიორკშიც მუდმივი საზოგადოებაა დაარსებული სქელის კაცებისა და წევრად მხოლოდ იმას შეუძლიან ჩაეწეროს, ვინც თორმეტ ნახევარ ფუთზე ნაკლებს არ იწონის... ეს კიდევ არაფერი: ეხლა ხან რომელიღამაც გაზეთმა ბიოგრაფია დაბეჭდა ვიღაც სქელის კაცისა, რომელიც წონაში ოც-და-ორი ფუთი და 32 გირვანქა მოვიდა თურმე.

— ერთს საოხუნჯო გაზეთში შემდეგი ამბავია მოთხრობილი ბისმარკისა და იმის მეჩექმისა, რომელიც სულ ატყუებდა თურმე, ამ დროსთვის მოგიმზადებ წაღებსაო და დაპირებულს დროზე-კი თითქმის არასოდეს არ მოუსწრია. ბისმარკი მაინც თავს არ ანებებდა და ისევ იმ მეჩექმეს აკერინებდა წაღებს.

— კიდევ მაინც გადაცდილე კადას?— უსაყვედურა ერთს საღამოს ბისმარკმა და მეორე დილას, 6 საათზედ, ბიჭი გაუგზავნა, მზადა გაქვს თუ არაო.

— არა, ჯერ მზად არა მაქვს. უპასუხა მეჩექმემ.

გავიდა 10 წუთი. მოვიდა მეორე ბიჭი ბისმარკისა და ჰკითხა.

— მზად არისო?

— არა, ჯერ მზად არა მაქვსო, უპასუხა კიდევ მეჩექმემ.

ბიჭმა ხმაც არ ამოიღო და მაშინვე უკან გაბრუნდა.

ამ ნაირად დილიდგან მოკიდებული საღამომდის ყოველს 10 წუთში ბისმარკის ბიჭი მოდიოდა და ეკითხებოდა მეჩექმეს, მზად გაქვს წაღები, თუ არაო.

როგორც იყო საღამოსთვის გაუთავა წაღები მეჩექმემ და მას შემდეგ ერთხელაც აღარ მოუტყუებია ბისმარკი, რა გადასაცვ-კი დაუდებდა, ყოველთვის სწორედ იმ კადაზე მიჰქონდა შეკერილი წაღები.

— საკვირველია, რის გაკეთებას არ ხანიზრახავენ ეხლანდელი ინჟინრები: პროექტი უკვე შეუდგენიათ, რომ ევროპიდგან აფრიკამდე ხმელთა შუა ზღვაზე რკინის ხიდი იქმნას გადადებული. ამ ხიდს, პროექტის აზრით, სიგძე 56 ვერსი ექნება, ხოლო სიგანე-კი ექსიოდ საჟენამდე.

— კუმში გამართულს ხილეულობის გამოფენაზე ერთი მსხალი მიიტანეს, რომელიც ასის წლის წინად არის მოწყვეტილი. ეს შესანიშნავი მსხალი ტეგგების გვარეულობას ეკუთვნის. ერთმა მათმა

---

ბედის საცდელად და ამედეის გემზედ სამჯერ მოესწრო მთელის ქვეყნიერების შემოვლა. მოსიყვარულე ხასიათით და პარიკმახერის ხელობის ცოდნით მან საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა, მეტადრე გემის უმფროსებისა. გაბრიელი იყო ლამაზი კაცი; იმის სილამაზეს ძველი ბერძნული სილამაზის თვისება ჰქონდა: სწორე ცხვირი, დიდრონი თვალები, პატარა, მაგრამ ტლანქი პირი; იმის სახის კანი გარუჯული იყო სხვა-და-სხვა ქვეყნების ქარებისა და მზის გამო. თვალები ლურჯი, თმები ქერა, მხოლოდ წვერი უფრო მუქი ჰქონდა; წლოვანებითაც ოც-და-ხუთის წლისაზედ მეტისა არ იქნებოდა. ამ ორის წლის წინად გაბრიელმა თავი დაანება გემს და ძლივ-ძლივობით მოგროვილის ფულით და გემის უმფროსის ხელის შეწყობით გაჰმართა პერის ქუჩაზედ პატარა, მაგრამ ლაზათიანი საპარიკმახერო ფრანგულის ზედწარწერით: „აქ, პარიჟის მოდის დაგვარად, ალაზათიანებენ ახალგაზდა ჯენტლემენების თმა-წვერ-ულვაშს და ჩვენი ახლად მოგონილი საქართველოს ელექსირი სამაგალითოდ აფაფუკებს სახის კანს“. გაბრიელმა თავისის სიმახვილით, სიმარდით, თავაზიანის ხასიათით, საქმის ფაქიზად კეთებით მოუკლო მუშტარს გული და და ხალხი ბევრი შეაჩვია. მცირედის ხნის განმავლობაში იმისი საქმე ისე კარგად წავიდა, ისე კარგად, რომ მეზობელი პარიკმახერი შურიანი იტალიელი ფაბრო გამურატო სრულიად გაკოტრდებოდა, რომ არ შეშინებოდა გაბრიელს და ეშმაკურის ენით არ დაეყოლიებინა ერთად შეერთებულიყვნენ საერთო ბედნიერებისათვის. გამოუცდელი გაბრიელი დაჰყვა რჩევას და მით დიდი შეცდომა ჩაიდინა; საქმის გაფართოებამ გაიტაცა და ამ ზემო აღნიშნულ შეცდომის შესწორება იმითი უნდოდა, რომ ჰსურდა თავის სამშობლოდგან ყმაწვილ კაცების დაბარება, მაგრამ საქმე სამუდამოდ აურ-დაურია ჟულიეტას გაცნობამ.

როგორც ვსთქვი, გაბრიელი შეხვდა ჟულიეტას გალათის ერთს დიდს ქუჩაზედ, სადაც მრავალი ხალხი გამოსულიყო საღამოს სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად. უცოლო, ამყოლი და ულვაშებ აწკეპილი გაბრიელი აედევნა ლამაზს ქალს; ქალმა განგებ იუცხოვა; ერთი ხელობა გაბრიელმა თავის მინებება მოინდომა, მაგრამ ცოტაოდენის მოფიქრებას შემდეგ ისევ აჰყვა გრძნობას, აეტორღიალა ქალს და დაბალის ხმით დაუწყო ქება ჟულიეტას სიკეკლუცეს; რამდენსამე წუთს შემდეგ ისე გათამამდა, რომ მიიწვია ფარდულში და სხვა-და-სხვა საგრილობელი სასმელები შესთავაზა. ქალმა იგრძნო თავისი ბედნიერება და გაინაბა, გაჩუმდა. ათის დღის განმავლობაში ერთსა და იმავე საათს გაბრიელი ჰხედავდა ხოლმე თავისს სატრფოს, მხოლოდ გამუნჯებული ქალი ენას არ იძვამდა, ხმას არ სცემდა! მაგრამ მის მაგიერ დიდად ათამაშებდა სახეს, სხვა-და-სხვა მიხვრა-მოხვრას ხმარობდა! დასაწყისში წუთიერი გატაცება აწ ღრმა გრძნობად გადაექცა გაბრიელს... ბევრის ხრიკების ხმარების შემდეგ გაბრიელმა ახალს ხერხს მიჰმართა: სეირნობის დროს, როცა-კი დაუპირდებოდა თავის სატრფოს, ჯერ ნაპიჯს შეაჩერებდა, მერე ისეთის ჩაციებით გააბამდა ცქერას, ისეთის მძლავრის ვნებით ჩააკვ?ებოდა ჟულიეტას სახეს, რომ კოხტა ქალიც უნებლიედ და მასთანვე ყმაწვილისთვის საიმედოდაც მიიბრუნებდა ხოლმე გაბრიელისაკენ სხივოსან შავს თვალებს. პირველში ჟულიეტას ორი ცეცხლსავით მწველი თვალი თითქო ინაზებოდა, ეწინააღმდეგებოდა და აგრე ადვილად არ აჰყვა გაბრიელის მაცდურ თვალების თამაშობა; შემდეგში-კი ჟულიეტა გათამამდა. ათის დღის განმავლობაში ყოველს საღამოს ჟულიეტასა და გაბრიელს შორის სრულიად უმიზეზოდ ჩამოვარდებოდა ხოლმე ხან უძრახობა, ხან შერიგება და ზავი. მეთერთმეტე დღეს გაბრიელი ისე დარწმუნებული იყო, გავიმარჯვებო, რომ სადილთ უკან დასწერა გრძნობით სავსე, მაგრამ გრამატიკის მხრით მეტად უხერხელი წერილი და წაიღო თავის სატრფოსათვის გადასაცემად. მაგრამ ვერც ამ საშუალების ხმარებაში დაუჯდა კოჭი ალჩუს; ქალმა, თითქო მოჯადოებულიაო, ზედაც არ შეხედა წერილს.

ამ გარემოებამ უზომო ცეცხლი აანთო გაბრიელის გატაცებულს გულში. ველარ მოითმინა და თავის გულის ტკივილი გაზიარა და მასთანავე შემწეობაც სთხოვა ფაბროს; ესეც დიდი შეცდომა იყო! გაქსუებული ფაბრო მაშინვე მიხვდა, რაოდენად სასარგებლო იქმნებოდა იმისთვის ახალგაზდა ამხანაგის გულის ამღვრევა, რადგან კეკლუც ქალთან, ისიც იტალიელთან, გაბრიელის კავშირი მისცემდა ადრე თუ გვიან მშვენიერს შემთხვევას აღესრულებინა დიდის ხნის ნაფიქრი საზარელი აზრი... არ დაზარდა ფაბრო, წამოიგდო მხრებზედ პალტო, აიბუძგნა დიდრონი შავი თმები, შემდეგ ჩამოისვა მსუქანს ლოყებზედ ხელი, ეშმაკურად აათამაშა ჭრელი თვალები და გაუდგა გზას ჟულიეტას პატრონის სანახავად და მასთან მოსალაპარაკებლად... გაბრიელმა ერთი საათიც ველარ მოითმინა და თვითონაც გაექანა ჟულიეტას სიმკერვალო მაღაზიის უფროსთან... სამს თვეს შემდეგ იმათ ჯვარი დაიწერეს და გაბრიელი მიეცა ალტაცებით სიყვარულს, მაგრამ... მაგრამ ერთ ერთს მოსიყვარულე გულს მოულოდნელად და სწრაფად მღრღნავი ჭია გაუჩნდა და შხამიანმა გველმა მოსწამლა არშიყ ცოლ-ქმართა გრძნობა.. მოწამლულნი საყვარელნი ერთმანეთს შეეკიდნენ, შეეჯახნენ და მით მთელის სახლის სიმშვიდე შეარყიეს... საპარიკმახეროს ამხანაგები ერთმანეთს გაეყარნენ და ცალკე დაიწყეს ცხოვრება. საწყალი გაბრიელი! რამდენსამე კვირას შემდეგ ბინდ-ბუნდის დროს ვიღამაც ყური მოჰკრა, რომ გაისმა ხმა გულიანის კოცნისა და გაბრიელის სადგურის კიბეზედ თვალი შეასწრო ჩამორბენილს ლოჯიანს ფაბროს და კიბეზედ არბენილს კოხტა ჟულიეტას... ასე ამბობდნენ.

თ. გ. ნ. ვეზოლი

(დასასრული იქნება)

წინაპარმა 1775 წელს თავისს ბაღში მსხლის ტოტზე პატარა მსხალი შუშაში ჩაუშვა და მავთით მიაბა ტოტზე. მსხალი შუშაში იზრდებოდა და როცა დამწიფდა ტოტი მოსჭრა და ისე შუშიანად ჩამოიღო, დაასხა სპირტი მაგრა დაბეჭდა. მას აქეთ არის და არის შენახული ეს მსხალი.

— მეავთიაქეები ძლიერ გაჯავრებულნი არიან კოხზე და ჩივილსაც-კი უპირებენ სასამართლოში. საბუთიც უპოვნიათ საჩივრისთვის: სისხლის სამართლის კანონში სწერია თურმე, ჯარიმა უნდა გადაჰხდეს და ციხეშიაც დაპატიმრდეს, ვინც საიდუმლო წამლებით უწამლებს ავადმყოფსაო. ამ კანონის შემწეობით მეავთიაქეებს ჰსურთ ძალა დაატანონ კოხსა და გამოაქვეყნებინონ, რანაირად და როგორ ზავდება იმის მიერ ახლად ამოჩენილი წამალი ჭლექისა.

# დეპეშა

6 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს გარდაიცვალა „Правительст. Вѣтникъ“-ის რედაქტორი, გიორგი პეტრეს ძე დანილევსკი.

7 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს გაათავა თავისი სხდომები სატარიფო კომისიამ. „Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ სამეურნეო მანქანებსა იარაღებზე გარდასახადი კომისიამ 70 კაპ. გადასწყვიტა ფუთზეო.

გრუმ-გრჟიმაილის ექსპედიცია ტიბეტისა გათავდა და უკან მოდის რუსეთში.

პეტერბურგის ბირჟა, 4 დეკემბერი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 06 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 140¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 238¼ |
| —მეორისა . . . . | 217¼ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 214½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

Изданія — на 1891 годъ. — годъ 2-й

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на ежедневную

## „МОСКОВСКУЮ ИЛЛЮСТРИРОВАННУЮ ГАЗЕТКУ“

съ безплатными литературными и художественными приложеніями.

**ЕДИНСТВЕННОЕ и ПЕРВОЕ ВЪ РОССІИ ЕЖЕДНЕВНОЕ** иллюстрированное изданіе, выходящее въ форматѣ **БОЛЬШИХЪ** ежедневныхъ газетъ. Существующія нынѣ ежедневныя изданія даютъ рисунки и иллюстраціи въ ограниченномъ количествѣ, **„Московская Иллюстрированная Газетка“** даетъ ихъ

**50**
ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ,
25 въ полгода, 4 въ мѣсяцъ.

**ЕЖЕДНЕВНО**; кромѣ этого **„Моск. Иллюстр. Газетка“** даетъ въ теченіе года **ПЯТЬДЕСЯТЪ** безплатныхъ литературныхъ и художественныхъ **приложеній и БОЛЬШУЮ** художественно-исполненную **КАРТИНУ** извѣстнаго художника. Всѣ подписчики получатъ **БЕЗПЛАТНЫЯ** литературно-художественныя **приложенія**.

Подписавшіеся на 1891 годъ получатъ кромѣ **„ГАЗЕТКИ“** до 50 выпусковъ приложенія и **БОЛЬШУЮ КАРТИНУ**, подписавшіеся на полгода получатъ до 25 вып., на 3 мѣсяца до 12 вып., на 1 мѣсяцъ до 4 выпусковъ прибавленія.

**Приложенія** состоятъ изъ беллетристическихъ произведеній, роскошно иллюстрированныхъ; каждый выпускъ состоитъ изъ 16 стран. текста и 5—10 рис.

Разсрочка подписной платы:
Для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 2 руб. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 рублю, до уплаты подписной суммы.

Подписная цѣна со всѣми приложеніями.

| | безъ дост. | съ дост. и перес. |
|---|---|---|
| на годъ | 7 р.—к. | 8 р.—к. |
| на полгода | 4 „ — „ | 5 „ — „ |
| на 3 мѣс. | 2 „ 50 „ | 3 „ —50 „ |

Адресъ: Москва. Гнѣздниковзкій пер., домъ Мартыновой.

Разсрочка подписной платы:
Для полугодовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 1 р. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.
Для подписавшихся на 3 мѣс.: при подпискѣ 1 р. 50 к. и въ слѣдующіе мѣсяцы по 1 р.

(3—1) Редакторъ-издатель **Н. Соѣдовъ**.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ рэдакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## РУССКОЕ СЛОВО

მეორე გამოცემა ნაწ. I.

ფასი 30 კაპ., ვინც ოც-და ათს წიგნს იყიდის ერთბაშად ნაღდს ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა 25 კაპ.

**Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1891 ГОДЪ

СЪ РАЗРѢШЕНІЯ ГОСПОДИНА МИНИСТРА ВНУТРЕННИХЪ ДѢЛЪ

Будетъ издаваться съ 1-го Января 1891 года, въ С.-Петербургѣ, **большая политическая, экономическая, научная и литературная газета**

## „ПРАВДА.“

Подписчики „правды“ за 6 руб. получатъ въ теченіи года:

**52** номера газеты, еженедѣльно каждый № въ 2—3 печатныхъ листа самаго большото формата съ разнообразными тщательно разработанными статьями: серьезными—научными и легкими—беллетристичесскими, именно со статьями—политическими, экономическими, изъ общественной жизни, научными по всѣмъ областямъ знанія, искусства и литературы, съ фельетонами, разсказами и проч., и проч. и

**24** **БЕЗПЛАТНАЯ ПРИЛОЖЕНІЯ—КНИГИ**, изъ коихъ въ каждой будетъ помѣщенъ законченный новый выдающійся романъ извѣстнѣйшаго писателя. Каждое приложеніе будетъ выходить въ двухнедѣльный срокъ, такъ что въ годъ выйдетъ двадцать четыре тома отдѣльныхъ избранныхъ романовъ, стоящихъ въ продажѣ не менѣе 24 рублей.

**Съ первымъ же номеромъ газеты выйдетъ и первое приложеніе—книга.**

**ПРАВДА** съ переходомъ къ новому издателю-редактору совершенно преобразована, увеличена до самаго большаго формата и по разнообразному содержанію и дорогимъ приложеніямъ—книгамъ—незаменима.

**ПРАВДА** по своему характеру и направленію будетъ истино русскимъ органомъ. Ея цѣль и задача—неуклонно служить національнымъ интересамъ всего государства.

**ПРАВДА** въ области политической—будетъ преслѣдовать осуществленіе исконныхъ національныхъ задачъ Россіи и Славянъ; въ области экономической—будетъ служить полному подъему и развитію производительныхъ силъ русскаго народа, упроченію всѣхъ коренныхъ отраслей производства и разумному огражденію ихъ отъ пагубной иностранной конкуреціи съ недопущеніемъ однако никакихъ монополій, безусловно вредныхъ интересамъ всего народа-потребителя; въ области общественной жизни—будетъ способствовать общему культурному и разумно прогрессивному движенію.

**ПРАВДА** во всѣхъ случаяхъ и при всѣхъ обстоятельствахъ останется вѣрной своему названію и всегда будетъ служить отголоскомъ лишь искреннихъ убѣжденій и нелицемѣрныхъ желаній.

**ПРАВДА** будетъ давать читателямъ возможность своевременно и подробно слѣдить за всѣмъ совершающимся на земномъ шарѣ, замѣнитъ дорогія газеты и журналы и будетъ газетою для всѣхъ и обо всемъ.

**ПРАВДА** по обилію тщательно разработаннаго и разнообразнаго матеріала для чтенія и по своимъ дорогимъ безплатнымъ приложеніямъ представляетъ изданіе самое солидное, интересное, полезное и необходимое, какъ вполнѣ развитому и серьезному, такъ и любознательному читателю и особенно семьѣ, а по своей дешевой цѣнѣ вполнѣ и всѣмъ доступное.

**ПРАВДА** будетъ издаваться по самой широкой, разнообразной программѣ и заключать: 1, Высочайшіе Манифесты, указы и другіе акты. Правительственныя распоряженія и узаконенія. II. Статьи по вопросамъ внѣшней политики. III. Статьи по текущимъ вопросамъ русской политики. IV. Систематическія обозрѣнія событій въ Россіи и заграницею, въ особенности въ славянскихъ земляхъ. V. Статьи по вопросамъ экономическимъ и финансовымъ. VI. Статьи по всѣмъ областямъ знанія и философско-богословскія. VII. Изящная словесность—повѣсти, романы, стихотворенія, мемуары и проч VIII. Критика и библіографія русскихъ и иностранныхъ произведеній. IX. Статьи о текущей русской и иностранной журналистикѣ. X. Корреспонденціи изъ провинціи и заграницы. XI. Судебная лѣтопись. XII. Фельетоны изъ русской и иностранной жизни. XIII. Разные факты, сообщенія, происшествія, слухи и проч., преимущественно свидѣтельствующіе о ростѣ и и развитіи государственныхъ, земскихъ и общественыхъ силъ Россіи и Славянъ. XIV. Статьи по искуству—театру, живописи, скульпурѣ и проч. XV. Спортъ. XVI. Объявленія и рекламы.

**ВЪ ПРАВДѢ** примутъ участіе многіе извѣстные писатели, ученые и общественные дѣятели русскіе и иностранные, въ особенности славянскіе.

**Подписная цѣна на газету „ПРАВДА“ съ двадцатью безплатными приложеніямы—книгами:**

| | Въ Россіи. Въ С.-Петербургѣ и во всѣ мѣста Имперіи. | Заграницу. Въ Славянскія земли. | Заграницу. Во всѣ другія мѣста. |
|---|---|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой — | 6 руб. | 6 руб. | 10 руб. |
| „ полгода съ доставкой и пересылкой — | 4 руб. | 4 руб. | 6 руб. |
| „ одинъ мѣсяцъ съ доставк. и пересылк. | 1 руб. | 1 руб. | 1 руб. |

NB. Допускается разсрочка: при подпискѣ 3 руб. и въ Мартѣ остальные 3 руб. Выписывающіе 10 экземпляровъ получаютъ одинъ экземпляръ газеты съ приложеніями—книгами—безплатно.

Подписка принимается исключительно **въ Главной Конторѣ газеты „ПРАВДА“. С.-Петербургъ Невскій преспектъ, домъ № 98.**

*Издатель-редакторъ „ПРАВДЫ“ П. Н. Подлигайловъ.*

## Отъ Главной Конторы газеты «ПРАВДА».

**ГЛАВНАЯ КОНТОРА** принимаетъ также отъ петербургскихъ и иногородныхъ жителей объявленія для помѣщенія во всѣ русскія и иностранныя газеты и журналы по цѣнамъ редакцій, безъ всякаго возвышенія платы, а равно принимаетъ подписки на эти изданія также по цѣнамъ редакцій.

Кромѣ того **ГЛАВНАЯ КОНТОРА** исполняетъ всякаго рода порученія по выпискѣ всевозможныхъ книгъ и учебниковъ, какъ изъ своего книжнаго склада, такъ равно и изъ всѣхъ другихъ книжныхъ магазиновъ, взимая 5% за комиссію.

Для годовыхъ-же подписчикоъ „ПРАВДЫ“ всѣ эти порученія исполняются безплатно.

Всѣ порученія исполняются немедленно и аккуратно.

На отвѣты объязательно прилагаются почтовыя марки.

(3—2)

**Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.**

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ქილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. цен. Тифлисъ, 7-го Декабря 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე